



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №24

2017 წელი 28 აპრილი

ქ. ბათუმი

**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედში სასმელი წყლის მაგისტრალის რეაბილიტაციისა და ორი სალექარის მშენებლობისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის მიზნით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის წინადადების მოწონების შესახებ**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 09 მარტის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ №5 დადგენილებით დამტკიცებული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის წესი“-ს შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედში სასმელი წყლის მაგისტრალის რეაბილიტაციისა და ორი სალექარის მშენებლობაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის წესის შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის წინადადება მოწონებული იქნეს დანართი №1 თანახმად.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ჯუმბერ ბერიძე